572
1985

ISSN 0132-5963

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1985 წ. მაისი № 8

ფილოსოფია

დიდი სამამულო ომის 40 წლისთავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვებო!

ყოველმა თქვენგანმა კარგად იცის, რომ ომი ყველაზე დიდი საშინელებაა ამ ქვეყნად, და კაცობრიობას მასზე სისხლიანი მტერი არა ჰყავს. ომის დროს ნადგურდება ქვეყნები, ინგრევა ქალაქები, იღუპება მილიონობით ადამიანი—ბავშვები, ქალები, მოხუცები. ახლა რამდენი სამუდამოდ სახიჩრდება, სნეულდება და ავადდება, ვინ მოთვლის! ამასთანავე ჩანაგდება მშრომელთა მიერ წლების მანძილზე შექმნილი დოვლათი, თვალისდახამხამებაში მტვრად იქცევა კულტურული და მატერიალური ძეგლები. ქვეყნად ისადგურებს შიმშილი, გაჭირვება და უბედურება.

აბა წარმოიდგინეთ, რა საშინელი უბედურებაა, ბავშვებს მშობლებს რომ დაუხოცავენ, სახლკარს დაუნგრევენ და მშიერ-ტიტვლები ბედის ანაბარა რომ დარჩება.

მსოფლიო ისტორიაში უთვალავი სისხლისმღვრელი ომია ცნობილი, მაგრამ ყველაზე დიდი, დაუნდობელი და სასტიკი მაინც იყო მეორე მსოფლიო ომი (1939-1945).

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია თავს დაესხა ჩვენს მშვიდობიან ქვეყანას, მაგრამ მანამდე მან ცეცხლითა და მახვილით დაიპყრო ავსტრია, ჩეხოსლოვაკია, აღბანეთი, პოლონეთი, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, დანია, ნორვეგია, იუგოსლავია და საბერძნეთი. ამ დაპყრობებში მას ეხმარებოდა ფაშისტური ბლოკის ხუთი სხვა ქვეყანა. ხომ წარმოგიდგენიათ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინ რამდენი ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერე და ჯარისკაცი იყო მომართული ჩვენს წინააღმდეგ. ხოლო ისეთი მძლავრი კაპიტალისტური ქვეყნები, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთია, თუმცა 1941 წლის ნოემბერში გახდნენ საბჭოთა კავშირის მოკავშირენი, ბრძოლაში უშუალოდ არ ჩარეულან, ჯერ განზე გადგნენ და შორიდან უცქერდნენ ფაშისტური ურდოების თავნებობას, და მხოლოდ 1944 წლის ივნისში გახსნეს მეორე ფრონტი. ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმის წინ, ვერმახტის (ასე ერქვა გერმანიის იმდროინდელ მთავრობას) განკარგულებაში იმყოფებოდა 9 მილიონამდე ჯარისკაცი, 11 ათასი თვითმფრინავი და ამდენივე ტანკი, 78 ათასი ქვემეხი, და გარდა ამისა—უდიდესი სამხედრო ფლოტი—3 სახაზო გემი, 8 კრეისერი, 43 ხომალდი, 155 წყალქვეშა ნავი; და აი მთელი ამ ვეებერთელა სახმელეთო და საზღვაო ძალებით ფაშისტური გერმანია ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. სამი კვირის მანძილზე ფაშისტებმა დაიპყრეს ლიტვა და ლატვია, უკრაინის, ბელორუსიის და მოლდავეთის უმეტესი ნაწილი. მტერმა თითქმის ყველა მიმართულებით შეძლო შემოჭრილიყო ჩვენს საზღვრებში. ამას თან სდევდა მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ყლეტა, წამება, ძარცვა-რბევა და გერმანიაში ტყვედ წაყვანა. ჰიტლერი „ელვისებური ომით" ფიქრობდა დაეპყრო ჩვენი ქვეყანა—მოსკოვამდე მიელწია, აეღო ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი და უცებ დაემარცხებინა საბჭოეთი, მაგრამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის მოწოდებით მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყანა ერთ მთლიან მუშტად და რისხვად შეიკრა. მოსკოვთან მტერმა სასტიკი მარცხი იგემა—„ელვისებური ომის" გეგმა ჩაიშალა. რუსები და ქართველები, უკრაინელები და სომხები, აზერბაიჯანელები და ბელორუსები, და ერთიანი საბჭოთა კავშირის ყველა ერები და ხალხები გადაუღახავ ზღუდედ აღიმართნენ დამპყრობელთა წინააღმდეგ, და თავდადების, გმირობის, პატრიოტული სულისკვეთების ჯერ არნახული, გასაოცარი მაგალითები უჩვენეს მთელ მსოფლიოს.

ერთხანს კიდევ მოიწევდა ქვეყნის სილრმეში ჰიტლერული არმია—მძიმე ბრძოლის შედეგად დააოვებინა ჩვენს ჯარებს ქერჩის ნახევარკუნძული, სევასტოპოლი, დონბასი, შემოუტია ჩრდილოეთ კავკასიას. ჯერ ისევ აღყაში იყო ლენინგრადი... მაგრამ სტალინგრადის გმირულმა დაც-

ვამ საბოლოოდ განამტკიცა ჩვენი ჯარების უპირატესობა. ნოემბერში მტერი უკუიქცა სტალინგრადთან და ჩვენმა გმირმა არმიამ ყველა მიმართულებით კონტრშეტევა წამოიწყო. ეს იყო დიადი გარდატეხა დიდი სამამულო ომის მსვლელობაში. კიდევ ორწელიწადნახევარი გრძელდებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა და სისხლისღვრა, და საბოლოოდ, გენიოსი რუსთაველის თქმისა არ იყოს, „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!"

ჩვენმა უძლეველმა ქვეყანამ დიდი **ლენინის** პარტიის ხელმძღვანელობით, ხერხემალი გადაუტეხა ფაშისტურ ურჩხულს, თან შეძლო ევროპის ხალხების სრული განთავისუფლება, მსოფლიოსათვის მშვიდობის მოტანა და დამკვიდრება. დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა.

პატარა მეგობრებო, თქვენ უნდა იცოდეთ, რომ თუ დღეს ჩვენს მომავალ თაობას შეუძლია მშვიდი ძილი, სწავლა-განათლება, სიცილ-კისკისი და უზრუნველად ცხოვრება, ეს უპირველესად თქვენი გმირი წინაპრების,—პაპების, და მათი თაობის უდიდესი დამსახურებაა.

კარგად უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენსა და ჩვენს მშვიდობიან ცხოვრებას ამ 40 წლის წინათ 20 მილიონი საბჭოთა მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა. არ დაივიწყოთ არასოდეს—ოცი მილიონი ადამიანის სიცოცხლე! და მათი ხსოვნის პატივისცემა თქვენც შეგიძლიათ — ბეჯითი სწავლით, სანიმუშო ყოფაქცევით და სამშობლოს მარადიული სიყვარულით.

მხატვარი თამაზ ხუციშვილი

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე

კავშირი გულთა შორის

დიდო არმია! არის შენი მედგარი მხარი
ჩვენი საშობლო მხარის მარჯვე ხმალი და ფარი.
მღერალმა ჩვენი ველის, ჩვენი მთისა და გორის,
ჩვენ რუსთაველმა გვითხრა: კავშირი გულთა შორის!
იყოს ერთისთვის ყველა და ყველასათვის—ერთი,
რომ მიარღვევდეს ბურუსს გაკაჟებული მკერდი.
ვერაფინ დაამარცხოს მგრძნობი მიზანის სწორის.
მარადჟამს მზიანია კავშირი გულთა შორის!
კავშირი გულთა შორის! როცა გულს იცნობს გული,
რაა ამაზე უფრო მშვენიერი და სრული.
ბზა გვქონდეს გამარჯვების არა ერთის და ორის,
ყველაფერს გადალახავს კავშირი გულთა შორის!
მყელო ასპინძის ველო, მყელო ციხეო გორის,
მკერდით გიცავდათ მძლავრი კავშირი გულთა შორის!
მარად სიცოცხლეს უდგა, და ისტორიის მდორის
ამფეთქებელი იყო კავშირი გულთა შორის!
უძლეველია ციხე, ბუდე ორბის და ქორის,
რაიც ააგო დიდმა კავშირმა გულთა შორის!
დიდო არმია! მძლეა ფიცი ტოლის და სწორის!
კავშირი გულთა შორის! კავშირი გულთა შორის!

მხატვარი ლალი ლომთაძე

გიორგი ლეონიძე

არ დაიდარდო, დედაო...

ღიმილის ბიჭი ვიუავი,
ბეჭზედ არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა,
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხადა!
ვისაც უნდოდა, ქართველი
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიუავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...
ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეერება დედასა!
არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწეინე;
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეენოდ გამოვაბრწეინე.
მე გაგიხუნე ლეჩაქი,
მაგრამ დაგხურე შუქური,
სამშობლოსათვის დავთხიე
სისხლ-ცვარი სიჭაბუკური.
მე არ დამკარგავს სამშობლო,
სულ ვეხსომები ლევანი,
სანამდი საქართველოში
იწურებოდეს მტევანი...
მტერთან ჩემს სიკვდილს ნუ იტყვით,
დამალეთ ჩემი სამარი,
თუ მტერმა გკითხოს, უთხარით:
— კრემლშია, სტალინთან არის!
და თუ სტალინმა მიკითხოს,
უთხარ,—არ ვიუავ ჯაბანი,
იქ ვდგავარ, სადაც ნათობენ
სტალინის მამა-ბაბანი!

ცხრა მმათ მეათედ მიმიღეს,
ბირზე მაუარეს ვარდები,
დაჭრილს, დამძრალს და გზადაღლილს
დამხურეს მუზარადები.
თუ გაუჭირდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით დავიდაგებით,
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით.
არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა.
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეერება დედასა!

მხატვარი ედუარდ ამგოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარსარდალი

ბავშვებო! დიდი სამამულო ომის დროს ძლევამოსილ საბჭოთა არმიას ჩვენი დიადი ქვეყნის მაშინდელი მეთაური, დიდი ლენინის ერთგული თანამეგზრძოლი იოსებ ბესარიონის ძე სტალინი (ჯუღაშვილი) მთავარსარდლობდა. მისი ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ გაანადგურა გერმანელ ფაშისტთა ურდოები, და ევროპის და აზიის ბევრ ხალხს თავისუფლება და მშვიდობა დაუმკვიდრა.

სიყმაწვილეში, როცა საქართველოში ცხოვრობდა, სტალინი ლექსებს წერდა და „სოსელოს“ ფსევდონიმით აქვეყნებდა. ბევრმა თქვენგანმა ზეპირად იცის მისი შესანიშნავი ლექსი „დილა“. აბა გაიხსენეთ:

აუვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო.

ჩვენი ჟურნალის სახელწოდებაც — „დილა“ — ამ ლექსთანაა დაკავშირებული.

იოსებ ბესარიონის ძე სტალინს ძალიან უყვარდა ბავშვები. ფოტოზე, რომელიც 1952 წლის პირველ მაისს მავზოლეუმის ტრიბუნაზეა გადაღებული, სტალინი აღბეჭდილია პირველკლასელ ვერა კონდაკოვასთან ერთად, რომელმაც მას ბავშვების სახელით ყვავილების თაიგული მიართვა.

აკაკი გეწაძე

ჩემი ბაბუა

აპრილის დამდეგს, ჩვენი სახლის წინ ვაშლის ხე რომ აყვავდა, ნატო ბებია ვაშლთან მივიდა, ხელი ისე მოხვია, როგორც მე მეფერება ხოლმე, და აჩურჩულდა:

— ისევ განახე აყვავებული, ჩემო გამხარებელო! არ დამიბერდე, შენი ჭირიმე, ჯერ, არ დამიბერდე! კიდევ ამიყვავილდი, ბევრჯერ ამიყვავილდი! მეც გამახარე და შენი შვილიშვილიც, შენი სეხნია სანდროც! რა ყოჩაღი ხარ, რა ყოჩაღი, რომ არ ბერდები!..

კარგა ხანს იდგა ვაშლთან, ყვავილებით გაბდღვიალებულ ტოტებს სასოებით შეჰყურებდა და ჩურჩულით ეალერსებოდა...

ჩვენი დიდი ეზო სავსეა ხეხილით. გაზაფხულზე ყველა ყვავილობს. მაგრამ ნატო ბებია ასე მონიწებით მხოლოდ ვაშლს ეალერსება.

გულმა არ მომითმინა და ვკითხე:

— ბებიკო, ამ ვაშლს გამორჩეულად რატომ ეფერები?

— რა ვიცი, ჩემო სიხარულო, ასე დამჩემდა! — ბებიამ თავზე ხელი გადამისვა და ჩამიხუტა.

— ყველაზე მეტად ეგ ვაშლი გიყვარს?

— ჰო, ჩემო საყვარელო, ყველაზე მეტად ეგ ვაშლი მიყვარს.

— რატომ?

— გაიზრდები და გაიგებ.

— შენ ხომ მეუბნები ხოლმე, უკვე დიდი ბიჭი ხარო? ახლა გამიმხილე!

ბებიამ კარადა გამოაღო, სამკუთხა ბარათი გამოიღო და გამომიწოდა, წაიკითხეო.

მეორეკლასელმა ბიჭმა კითხვა დიახაც კარგად ვიცი, მაგრამ ბარათი ისე იყო გახუნებული, ასოებს ძლივს ვარჩევდი. მაინც არ მოვეშვი და ბოლომდე ჩავიკითხე. აი, რა ეწერა იმ ბარათში:

„სალამი ყველას! თქვენმა წერილმა ჰოსპიტალში მომაგნო. არ შეგეშინდეთ, მსუბუქად ვარ დაჭრილი, მალე მოვრჩები და ისევ ჩემს პოლკს დავუბრუნდები. ვიცი, გაგეხარდებათ, ამ სამ თვეში ორჯერ დამაჯილდოვეს, ჯერ მომცეს მედალი „მამაცობისათვის“, დაჭრის წინ კი — „წითელი ვარსკვლავის“ ორდენი. მეთაურები „კავკასიელ არწივს“ მეძახიან. ჩვენში ალბათ კარგა ხანია, გაზაფხულია, აქ კი გაზაფხული ახლა მოდის. ჯარისკაცისთვის გაზაფხულის მოსვლა, ჩემო კარგებო, იცით, რა შეღავათია? ყინვა-ყიამეთი მაინც აღარ შეგვაწუხებს სანგრებში. ყველა ძალიან მენატრებით, განსაკუთრებით კი ჩემი უნახავი პატარა გიორგი. ერთი სული მაქვს, როდის დავინახავ... გმადლობთ მამაჩემის სახელი რომ დაგირქმევიათ... მიყვარს, როცა შვილიშვილს ბაბუას სახელს არქმევენ. თითქოს ერთი სიცოცხლე გრძელდება ოჯახში. ჩემო ნატო, რომ მწერ, ხან იცინის და ხან ტირისო, აბა, სხვანაირად როგორ იქნება? აკვნის ბავშვის არც ტირილია გასაკვირი, არც სიცილი... იცი, ახლა რა იმედიანად ვარ? სიკვდილის სულ აღარ მეშინია, ვიცი, ფესვი მრჩება... ძალიან მენატრება ჩემი სიცილ-ტირილა ბიჭი, ძალიან... და, იცი, კიდევ რა მენატრება? წინა გაზაფხულზე სახლის წინ ვაშლი რომ დავამყენი. სამჯერ ის ვაშლი მესიზმრა კიდეც, თითქოს ადამიანივით ხელს მიქნევდა. ზოგჯერ მგონია, იმ ვაშლის ხეს აბარია ჩემი სიცოცხლე. როცა მოგენატრები, ჩემს მაგივრად იმ ვაშლს მოეფერე ხოლმე და დარდიანი გული გაგიხალვათდება! რაც არ უნდა მოხდეს, არ იდარდო!

მხატვარი თემო მჟღელიძე

დარდი გულს უჭამს ადამიანს. ოღონდ არ დამივიწყო. აგერ, ჩემს გვერდით, რუსი ლეიტენანტი წევს, და, იცი, რას ამბობს? ადამიანი მანამდე ცოცხლობს, სანამ ვინმეს ახსოვს. ვიდრე მისი გაკეთებული საქმე ცოცხლობს, ადამიანს მკვდარი არ ეთქმისო. ნამდვილად ასეა. აბა, კარგად მეყოლეთ ყველანი! გკოცნით, თქვენი სანდრო“.

— ბები, ეს ჩემი ბაბუკას წერილია ხომ?

— ჰო, ჩემო სანდრო, უკანასკნელი წერილი...

— მაშინ მამაჩემი აკვანში იწვა?

— ჰო, მამაშენს თავისი მამა არ უნახავს... მხოლოდ სურათით იცის. იმ სურათში ბაბუაშენი ახლანდელ მამაშენზე უმცროსია... ეეჰ!

— ბები,ომი რომ არ ყოფილიყო, ახლა ბაბუკა ხომ ცოცხალი იქნებოდა?

— ბაბუაშენი ისეთი ჯანიანი კაცი იყო... მთელი დღე ბაბუაზე ვფიქრობდი და ფიქრი ძილში ჩამყვა. მესიზმრა, ვითომ მეც ბებიაჩემივით მივედი ვაშლის ხესთან და როცა მოვეფერე, უცებ ხე ალაპარაკდა:

— რომ იცოდე, როგორ გამახარე, ისე გორ გამახარე!..

— შენ თვითონ გამახარე, — ვუთხარი მე და ჩავეხუტე.

— მე რით გაგახარე, ბიჭო?

— აი, რომ დამელაპარაკე.. კიდევ იმით, რომ აყვავილდი ისევ... აყვავებული ისე ლამაზი ხარ, ისე ლამაზი... მერე, როცა ლოყაწითელა ვაშლებით დაიხუნძლები, მაშინაც ძალიან ლამაზი ხარ... მე შენ ძალიან მიყვარხარ, ძალიან.. ბებიასავით მიყვარხარ...

— ესე იგი, შენ უკვე იცი, ვინა ვარ მე!

— ვიცი... — ვთქვი ეს, და ხე ახალგაზრდა კაცად იქცა. ვითომ ადამიანიც იყო და ვაშლის ხეც. ვითომ მისი მკლავები მკლავებიც იყო და ტოტებიც.

— კარგია, რომ გაიგე, მე რომ შენი ბაბუა ვარ! — მითხრა და აყვავებული ტოტები უცებ ლოყაწითელა ვაშლებით დაეხუნძლა. — ჰა, გამომართვი, თორემ მკლავები მომწყდება. ეს ვაშლები შენთვის მოვიტანე!

— ამდენი ვაშლი მარტო მე როგორ გამოგართვა?! — გავიოცე მე.

უცებ ჩემს გარშემო გაჩნდა დიდ-პატარა გოდრები და კალათები, ტოტები თავისით დაირხა და ყველა გოდორ-კალათა ვაშლებით აივსო.

— სხვებს წვერ-ულვაშიანი ბაბუები ჰყავთ, შენ კი... რატომ ხარ ასე ახალგაზრდა ბაბუა? — ვკითხე გაკვირვებულმა.

— იმიტომ, რომ მე აღარ ვბერდები... იმ ხნის დავრჩი, ბებიაშენის შენახულ სურათში რომ ვარ გამოხატული... გაიგე?

— ეგ კი გავიგე, ოღონდ... აი, შენ ხომ ომში დაეცი? აქ როგორღა მოხვედი?

— მე აქედან არც არასოდეს წავსულვარ... კი, ომშიც ვიბრძოდი, მაგრამ აქედანაც არასოდეს წავსულვარ... მე სულ აქა ვარ, თქვენთვის ვხარობ და ვყვავილობ, თქვენთვის ვისხამ ლოყაწითელ ვაშლებს... როცა ვინმეს ვუმასპინძლდები, მაშინ სიცოცხლე ასმაგად მემატება და ყველაზე ბედნიერიც მაშინ ვარ... რას უყურებ? მიირთვი, მიირთვი ჩემი მორთმეული ვაშლები! სხვებსაც გაუმასპინძლდი! სანამ შენ ქვეყანაზე ივლი, სანამ შენი შვილი, შენი შვილიშვილი და ბადიში მზისქვეშ ივლიან, მე მუდამ ცოცხალი ვიქნები! მიირთვით, მიირთვით ჩემი ვაშლები!

უცებ იქვე უამრავი ბავშვი გაჩნდა. ყველას ერგო თითო გოდორი ან კალათა...

დილით ჩემი სიზმარი ნატო ბებიას ვუამბე. ბებია აყვავებული ვაშლის ხესავით გაიბადრა.

ლიონია და სხვანი

ლიონია გოლიკოვი. გაგიგონიათ ეს სახელი? გმირი პიონერის სახელი? დიდი სამამულო ომის ისტორიამ შემოინახა კიდევ მეორე პიონერი-საბჭოთა კავშირის გმირის სახელი—ვალია კოტიკი. ვალოდია დუბინინთან, ვიტია კორობკოვთან, კოლია მიაგოტინთან, მარატ კოზეისთან, ვალერი ვოლკოვთან ერთად ეს სახელები ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის საპატიო წიგნშია შეტანილი.

დღეს ჩვენ გიამბობთ ლიონია გოლიკოვის გმირობის ამბავს.

როცა ლიონიას სოფელი ფაშისტებმა დაიკავეს, ბიჭი პარტიზანებთან წავიდა, მათთან ერთად დადიოდა დაზვერვაზე, აფეთქებდა მტრის მატარებლებს, ხიდებს, რომლებზეც მათ უნდა გაევლოთ.

ერთხელ გზაზე ჩასაფრებულმა ლიონიამ გერმანელთა შტაბის მანქანა დაინახა, დრო იხელთა და ხელყუმბარა ესროლა. მანქანა გაჩერდა, იქიდან ორი ჰიტლერელი გადმოხტა. ლიონიამ ერთ-ერთი მაშინვე მოცელა ტყვიამფრქვევის ჯერით, მეორეს, გაქცეულს, კი დაედევნა, ჩექმები გაიძრო, რომ უფრო სწრაფად ერბინა, და ბოლოს დაეწია...

თურმე იმ მანქანით ჰიტლერელთა ერთ-ერთი გენერალი მოდიოდა და მნიშვნელოვანი სამხედრო დოკუმენტები მოჰქონდა. გაქცეულს ამ საბუთების გადარჩენა უნდოდა. ლიონიამ ეს ქაღალდები თავის რაზმში მიიტანა. აქედან კი მოსკოვს გადაუგზავნეს...

უაღრესად საჭირო ცნობების შემცველი დოკუმენტების ხელში ჩაგდებისათვის პიონერ ლიონია გოლიკოვს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. მაგრამ თვითონ ლიონია ვერ მოესწრო იმ დღეს, როცა გაზეთებში ეს ცნობა გამოქვეყნდა—1943 წლის 24 იანვარს იგი დაიღუპა.

ასე შევიდა დიდი სამამულო ომის სახელოვან გმირთა თანავარსკვლავედში მამაცი ბიჭი ლიონია გოლიკოვი.

„ვით სიცოცხლეში ამტკიცებს ახლაც
ძველებურ რიხით, ძველებურ რწმენით:
უკვდავი არის ახალგაზრდობა,
უკვდავი არის საქმენი ჩვენი!“

პოეტ მიხეილ სვეტლოვის ეს სიტყვები ვალენტინ კოტიკის შესახებ, თავისუფლად შეიძლება გავიმეოროთ ლიონია გოლიკოვზე და სხვა მის თანატოლ ბიჭუნებზე. მათ ხომ თავი შესწირეს სამშობლოს, მომავალს, სიცოცხლეს! უკვდავია მათი სახელი, უკვდავია ახალგაზრდობა, ჩვენი საქმე უკვდავი არის!

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რეს. ბიბლიოთეკა

მხატვარი თემურ ფხიკიძე

სსრკ საბრძოლო ორდენები და მედლები

ლენინის ორდენი

მედალი

„ოქრის ვარსკვლავი"

დიდების I ხარისხის ორდენი

საბჭოთა ომის I ხარისხის ორდენი

„გაბარჯვების" ორდენი

„წითელი ვარსკვლავის" ორდენი

მედალი

„საბრძოლო დამსახურებისათვის"

მედალი

„1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში

გერმანიაზე გამარჯვებისათვის".

მედალი

„კავკასიის დაცვისათვის".

კუტუზოვის I ხარისხის ორდენი

სუვოროვის I ხარისხის ორდენი

უშაკოვის I ხარისხის ორდენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლაი რუსუ (მოლდავეთი)

დაბადების დღე

პაპა შტეფანმა პირი გაიპარსა და ფენუცეს აკოცა. პაპა ალარ იჩხვლიტებოდა. ფენუცემ იცის, რომ დღეს განსაკუთრებული დღეა—9 მაისი, გამარჯვების დღე. პაპამ თავისი სამხედრო ფორმა ჩაიცვა და მკერდზე ორდენ-მედლების თაიგული აიყვავა. ეს არაჩვეულებრივი თაიგული იყო, რადგან ფენუცეს არსად უნახავს თაიგული, რომელიც ასე ბრწყინავს და ასე წკრიალებს. ფენუცე თვალს არ აშორებს მას. ო, როგორ უნდა, რომ სულ ცოტა ხნით მაინც გაიკეთოს მკერდზე პაპას ორდენ-მედლები!

სუფრა ოთახის შუაგულში გაიშალა. პაპა თამადის ადგილას დაჯდა. ჭიქა ღვინით შეავსო და მარჯვენა მხარეს დაიდგა.

— ეს ჩემი იმ ფრონტელი მეგობრებისა, რომლებიც შინ ველარ დაბრუნდნენ,— ამბობს პაპა.

ფენუცემაც იმწამსვე აავსო ჭიქა ლიმონათით, მაგრამ ყველამ შეამჩნია, რომ ბიჭი სულაც არ ჩქარობს დალევას. რატომ არ სვამო—ჰკითხა მამამ.

— ეს იმ ბავშვებისაა, რომელთა მამებზეც პაპამ თქვა: ომი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ახლა მეგობრები ვიქნებოდით,— აუხსნა ფენუცემ.

პაპა შტეფანი მადლიერად იღიმება და შვილიშვილს თავზე იმ ხელს უსვამს, რომელზედაც ორი თითი აკლია. მერე კი ამბობს:

— მიუხედავად იმისა, რომ იანვარში გავედი პენსიაზე, რაიონის მუშაკებს განვუცხადე, რომ საპენსიო წიგნაკი 9 მაისს მოეტანათ. რატომ ცხრა მაისს?—გაუკვირდათ მათ. იმიტომ, რომ დაბადების დღეს მე 9 მაისს ვზეიმობ-მეთქი. ერთი ახალგაზრდა კი, რომელიც შენი ტოლია,—მიმართავს პაპა ფენუცეს მამას, — მეუბნება: „ადამიანს წელიწადში ერთი დაბადების დღე აქვს“. მე კი ვუპასუხე, რომ ყველა ადამიანისათვის 9 მაისი მეორე დაბადების დღეა.

— მაშინ მეც ორი დაბადების დღე მქონია!—უთხრა ფენუცემ.

— ჭკვიანი ბიჭია. — თავს უქნევს დიდედა.

— პაპას ნატეხი ვარ!—ადასტურებს უფროსების მიერ ხშირად ნათქვამ სიტყვებს ფენუცე. მერე სარგებლობს იმით, რომ ყველა კარგ ხასიათზეა და პაპას ემუდარება:

— სულ ცოტა ხნით მათხოვე შენი მედლები, აი ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენი ხნით! და ფენუცე ნეკა თითს აჩვენებს პაპას.

— ფენუცე, ცუდად იქცევი!—შენიშვნას აძლევს მამა, —ამ მედლების ტარების უფლება მხოლოდ ვეტერანებს აქვთ. ისინი იბრძოდნენ და მხოლოდ ისინი იმსახურებენ ასეთ პატივს.

— რაკი ლაპარაკი სულ ცოტა ხანზეა, მივცემ ამ მედლებს, ამბობს პაპა შტეფანი,—მე დარწმუნებული ვარ, რომ საკუთარი საბრძოლო მედლები არც ჩემს შვილიშვილს ექნება, არც მის შვილთაშვილებს. მათ მხოლოდ შრომის მედლები უნდა მოიპოვონ. დაე მე ვიყო ჩვენი გვარის უკანასკნელი ვეტერანი... ხოლო ის ომი, სადაც მე ეს მედლები მოვიპოვე, უკანასკნელი ომი ყოფილიყოს...

ყველანი რატომღაც სერიოზულები და თითქმის მკაცრებიც გახდნენ. მხოლოდ ფენუცე ცმუკავს თავის სკამზე და სიხარულისაგან ხტუნავს—პაპა ხომ შეპირდა, მედლებს გათხოვებო! ჰოდა, ახლა პაპას მედლებს გაიკეთებს დროებით, მერე კი, როცა გაიზრდება, თავისი საკუთარი მედლები ექნება შრომითი მამაცობისთვის, ხოლო როცა პაპასავით დაბერდება, მთელი მკერდი თაიგულივით გაუხდება. ოღონდ მომავალი თაიგული პაპას თაიგულზე დიდი იქნება. უზარმაზარი! იმიტომ, რომ ფენუცე შეეცდება პაპას აჯობოს მედლების სიმრავლეში.

აი მაშინ კი ისინი, ვინც ახლა დასცინიან ფენუცეს, დარწმუნდებიან, თუ როგორი განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი, მამაცი და ძლიერია ეს პატარა ბიჭი. აი ასე!

ლადო სულაბერიძე

ჯარისკაცის საფლავი

ჯარისკაცის საფლავთან
გაზაფხული მოვიდა.
ენძელები დარჩენილან
ზედ შემდნარი თოვლიდან.
მერე ია-იებიც
დილის ცვარმა შენამა.
და დაკრიფეს იები
ღადომაც
და
ღეღამაც,
დედას მიურბენინეს,
გაზაფხული ახარეს.
საღლაც სცემენ საზეიმო
ბუკებსა და ნაღარებს.
ჯარისკაცის საფლავს რომ
გუშინ ნისლი ებურა,
დღეს ღამაზ ყვავილებად
თქვენთვის აფეთქებულა.
ახლა გაზაფხულის მზემ
ღაღად მიტომ დაკოცნა.
და ამ მზეში იზრდებიან
ღეღაცა
და
ღადოცა.

თარგმნა მზია ხეთაგურმა

მხატვარი ედუარდ ამგოკაძე

ბავშვებო, თქვენი საყვარელი მწერალი მარგო თომაძე ომის წლებში თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი იყო. მან თქვენთვის დაწერა პატარ-პატარა მოგონებები სასახლის იმდროინდელი ცხოვრებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარგო თომაძე

ის პირველი წლები

სევდიანი მეჯღისი

მაისის ულამაზეს დღეს პირველად გაიღო თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კარი. ბავშვებით გაივსო ბრწყინვალე დარბაზები, კაბინეტები, დერეფნები... ეს იყო დიდი ზეიმი. ამავე დღეებში სასახლეში უფრო დიდი მასობრივი დღესასწაულისათვის დაიწყო მზადება—შვიდდღიანი მეჯღისი უნდა ჩაეტარებინათ. ბავშვები გულმოდგინედ ემზადებოდნენ—სწავლობდნენ ცეკვებს, სიმღერებს, იკერავდნენ კოსტუმებს, ამზადებდნენ ნაირნაირ ნიღბებს, გირლანდებით რთავდნენ სასახლის ბაღს. და აი, როცა ყველაფერი მზად იყო, მეჯღისის დღეც დაინიშნა—22 ივნისი, სწორედ იმ დილით ჩვენს სამშობლოს თავს დაესხა ვერაგი მტერი. დაიწყო დიდი სამამულო ომი. შეფიქრიანდნენ სასახლეში. არ იცოდნენ ჩაეტარებინათ თუ არა მეჯღისი.

— ნუ წავართმევთ ბავშვებს სიხარულს,— ასე გადაწყვიტეს უფროსებმა. ნიღბებს მიემატა ახალი ნიღბები: „პრესა“, „რადიო“, „მოწყალების დები“ მკლავზე წითელი ჯვრებით. გაისმა შეძახილები:—„ჩვენ დავიცავთ სამშობლოს“, „სიკვდილი ფაშისტებს“, „ჩვენ გავიმარჯვებთ“. ცეკვავდნენ და მღეროდნენ ბავშვები, მაგრამ ამ მხიარულ მეჯღისს მაინც სევდიანი იერი ჰქონდა. იმ საღამოს სასახლის დიდებულ ბაღში არ ანთებულა მეჯღისისათვის საგულდაგულოდ მომზადებული ფერად-ფერადი ლამპიონები. ქალაქი უკვე შენიღბული იყო.

მხატვარი გესო ხიდაშელი

ამანათები

სასახლის იმ დარბაზში, სადაც ახლა ცეკვას ასწავლიან, ომის დროს მაგიდები და სკამები იდგა. მაგიდებზე ეწყო მატყლის ძაფების გორგლები. იქვე სკამებზე ჩამომსხდარი ბავშვები გამალებით ქსოვდნენ წინდებს და ხელთათმანებს. ზოგიერთი მათგანი ხელთათმანების თითებში დებდა თავის დანაზოგ ხურდა ფულს. მერე ყველაფერს ყუთებში აწყობდნენ, და ეს პატარა ხელებით დამზადებული ამანათები ყოველ თვეში იგზავნებოდა ფრონტის წინა ხაზზე მებრძოლი ჯარისკაცებისათვის.

კონცერტები ჰოსპიტლებში

ბავშვები, რომლებიც კარგად ცეკვავდნენ და მღეროდნენ, ანდა ლამაზ მხატვრულ ვარჯიშებს აკეთებდნენ, საკონცერტო ჯგუფებში იყვნენ გაერთიანებულნი. საკონცერტო

ჯგუფები მიდიოდა ჰოსპიტლებში და დაჭრილ ჯარისკაცებს კონცერტებს უმართავდა. ჰოსპიტლებში მოსწონდათ პატარა მოცეკვავეები, მომღერლები, დეკლამატორები. სასახლეში გზავნიდნენ ბარათებს: „ჩვენ ძალიან მოგვწონს ნორჩი ხმებით მკურნალობა, გთხოვთ, უფრო ხშირად გამოგვიგზავნოთ ბავშვები“.

გამარჯვებული „ზენიკი“

სასახლის ბაღის კიდეში იდგა წყობიდან გამოსული ნამდვილი თვითმფრინავი. ბავშვები ბუზებივით ეხვეოდნენ და ათვალიერებდნენ. ხოლო სასახლის ნორჩი ავიამოდელისტები დაწვრილებით სწავლობდნენ თვითმფრინავის ნაწილებს. აკეთებდნენ ავიამოდელებს. ყველაზე უკეთეს ავიამოდელს „ზენიტი“ ერქვა. სწორედ ამ „ზენიტმა“ გაიმარჯვა საქალაქო კონკურსზე. იგი ყველაზე მაღლა და ყველაზე შორს გაფრინდა და ძირსაც უვნებლად დაეშვა. ასე იზრდებოდნენ სასახლის ავიამოდელისტთა წრეებში მომავალი მფრინავები.

გულთბილი მასპინძლები

ფრონტის ხაზიდან თბილისში თითქმის ყოველდღე მოდიოდა უპატრონოდ დარჩენილი ბავშვებით სავსე მატარებელი. ამ შიშდაკრულ, ფერმკრთალ, თმააბურძგნულ, ნახევრად შიშველ ყმაწვილებს საბავშვო სახლებში აბინავებდნენ. თბილისელი მოსწავლეები გულთბილად ხვდებოდნენ მათ. ვისაც ორი პერანგი ან ორი წყვილი ფეხსაცმელი ჰქონდა, ერთი მათთვის მიჰქონდა. სასახლის ეზოში ტანსაცმლის გორა იდგა. ალაგებდნენ ყუთებში და სასწრაფოდ აგზავნიდნენ საბავშვო სახლებში—ევაკუირებული ბავშვებისათვის.

უცხოელი სტუმარი

1942 წელს, მარტის ერთ სუსხიან დღეს, პიონერთა სასახლეს ეწვია ესპანეთის რევოლუციის ლეგენდარული გმირი ქალი დოლორეს იბარური, მას გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს, აჩვენეს თოჯინების თეატრის სპექტაკლი „ჯადოსნური კალოში“; დაათვალიერებინეს ბავშვების ხელით გაკეთებული თოჯინები; დაასწრეს „პატარა კახის“ რეპეტიციას; თეატრალურ დარბაზში შეხვედრა მოუწყვეს თბილისელ მოსწავლეებთან და მათს მშობლებთან. იდგა სცენაზე სასახლის პირველი უცხოელი სტუმარი და მგზნებარე სიტყვით ესხმოდა თავს ფაშისტ დამპყრობლებს.

ბავშვებმა უმღერეს მას „სულიკო“, „ციცინათელა“, „იავნანა“. დამშვიდობებისას სასახლის საპატიო სტუმარს ბავშვების ნახელავი საჩუქრები მიართვეს. აღელვებულმა სტუმარმა მადლობა გადაიხადა და თქვა: „ამ მშვენიერი სასახლიდან მე სხვა ძვირფასი საჩუქარიც მიმაქვს, ეს არის თქვენი ბავშვების წკრიალა ხმებით შესრულებული „იავნანა“, რომელიც არასოდეს დამავიწყდება“.

თბილისის ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სახლის ბიოლოგიის კაბინეტის ნორჩი აღსაზრდელების ომისდროინდელ საქმიანობაზე გიამბობთ რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი თამარ ჯიბილე, რომელიც პიონერთა სასახლის დაარსებიდან ხელმძღვანელობს ბიოლოგიის კაბინეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი ფრონტისათვის

ომის წლებში თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის კოლექტივი და სხვადასხვა წრის ნორჩი წევრები სამაგალითო სწავლითა და შრომით ეხმაურებოდნენ სამშობლოს მოწოდებას „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის". იმ დროს პიონერთა სასახლის ბიოლოგიის კაბინეტმა დიდი, საპასუხისმგებლო საქმე ითავა — ქვეყნის პიონერებისა და კომკავშირელებისადმი საკავშირო აღკკ და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტების მოწოდების პასუხად „რაც შეიძლება მეტი სამკურნალო მცენარე სამშობლოს"—შექმნა ნორჩ ნატურალისტთა ერთიანი მოძრავი ბანაკი ჩვენს რესპუბლიკაში სამკურნალო მცენარეების შესაგროვებლად. ამ მიზნით ეწყობოდა ექსკურსიები. საქართველოს რომელ კუთხეში არ ნახავდით ამ ბანაკის წევრებს წერაყინებითა და სხვადასხვა სამუშაო იარაღებით.



ნორჩმა ნატურალისტებმა ბაკურიანის მიდამოებში 4 ტონამდე ხარიშუბლას ანუ სენეციოს მეტად ძნელად მოსაპოვებელი ძირები შეაგროვეს. ამ ნედლეულის ნაწილი მოსკოვისა და როსტოვის ქარხნებში გაიგზავნა გადასამუშავებლად. ნაწილი კი თბილისის ფარმაცევტულ ინსტიტუტს გადასცეს კვლევა-ძიებისათვის. მაღე ნორჩმა ენთუზიასტებმა მიიღეს სასიხარულო ცნობა, რომ მათ მიერ შეგროვებული სენეციოს ძირებში ატროპინის დიდი რაოდენობის მქონე ახალი პრეპარატი იქნა აღმოჩენილი. ამჟამად ეს საბუთი მეგობრობის მუზეუმში ინახება.

იმავე წლებში ნორჩმა ბიოლოგებმა საგურამოში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოს წინ ჯაგარრცხილას ბუჩქებით დაფარულ ტერიტორიაზე, თბილისის მიდამოებში და თელეთის ქედის კალთებზე 3 ტონამდე კატაბალახას ძირები შეაგროვეს; საგარეჯოს მიდამოებში — შროშანის ყვავილები, ფოთლები და ფესვები; გომბორის მიდამოებში—დიდძალი ასკილი; გაგრის ახლომახლო კი — ევკალიპტის ფოთლები; სულ 20 ტონამდე სამკურნალო მცენარე. ამასთან ერთად ნორჩმა ბიოლოგებმა შეფობა აიღეს 47-ე საშუალო სკოლის შენობაში მოთავსებულ ჰოსპიტალზე: ისინი კატაბალახას ძირებიდან ამზადებდნენ ვალერიანის წვეთებს და ამარაგებდნენ ჰოსპიტალს. ნორჩი მკურნალები სიტყვიერადაც ამხნევებდნენ დაჭრილ მეომრებს. არაერთი ყავარჯნიანი მეომარი სწვევია მადლობის გამოსახატავად ბიოლოგიის კაბინეტს.

კაბინეტის აღზრდილების და მათი ხელმძღვანელისთვის უდიდესი ჯილდო იყო მედალი „კავკასიის დაცვისათვის", რომელიც კაბინეტს გადაეცა.

ენვერ ნიუარაძე

გეგას წერილი ზურიკოს

გაზაფხულის მზიან დილით,
(ჩვენ ეოველდღე ადრე ვდგებით),
გამარჯვების ვაკის პარკში
წაგვიყვანა მამამ ძმები.
იქ ჩანჩქერი ასკინკილით
მოჭყვებოდა კუს ტბის ფერდობს
და უცნობი ჯარისკაცის
სამარესთან ცეცხლი ენთო.
მამამ გვითხრა: „შერგილ, გეგა!
ვის საფლავზეც დღეს ვდებთ ყვავილს,
ის ბრძოლაში დაიღუპა,
მომავლისთვის დასდო თავი.
უცნობია მისი გვარი,
მაგრამ ღვიძლი არის ჩვენი,
ჩვენი სისხლის, ჩვენი ჯიშის,
ჩვენი მხრის და ჩვენი რწმენის.
სანამ იყო, ვაჟკაცურად
მოიხადა ქვეყნის ვალი,
დააფასეთ მისი სხოვნა
ბიჭობით და კარგი სწავლით“.
მერე ხელი შემოგვხვია
და, ამასაც მოგწერ ბარემ,
ყველამ ერთად იმ საფლავთან
კრძალვით მუხლი მოვიყარეთ.

17.973

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ნაცვალაძე

საწნახელი

მამა ფრონტზე იბრძოდა, ოჯახში სამნი-ღა ვიყავით: დედა, მე და ჩემი უმცროსი ძმა ნოდარი, ბებო და პაპა ჩვენგან მოშორებით, სოფლის თავში ცხოვრობდნენ. დედა კოლექ-ტივში მუშაობდა, ჩვენ კი სკოლაში დავდი-ოდით, მე მეექვსეში, ნოდარი — მეორეში.

შემოდგომის მიწურულს სამკუთხა ბარა-თმა სიხარული მოგვიტანა, სოფელს ახალი ამბავი მოედო — ლევანი ცოცხალი ყოფილა, დაუჭრიათ, ფრონტიდან ჰოსპიტალში გადა-უყვანიათო.

დილაუთენია პაპამ ხურჯინი მხარზე მო-იგდო და დედაჩემთან ერთად რკინიგზის სა-დგურისაკენ გაემართა. ნოდარი ბებოს ჩა-აბარეს, მე კი მარტო დავრჩი სახლში. იმავე დღეს საზიდარს თვლები გავუმაგრე, სახედა-რი შევაბი და ტყისაკენ გავწიე. შეშის კეწეწი არსად გვეგდო, თონის გასახურებელი არა გვქონდა, ბალჩაც შესაღობი იყო, ვინ მოთვ-ლის ოჯახის საქმეს, ზამთარი კი კარზე იყო მომდგარი. სანამ დედა და პაპა დაბრუნდე-ბოდნენ, მე საქმეს ვეშურებოდი.

სახედარი ძეძვით დატვირთულ საზიდარს მიაგორებდა, მე გვერდით მივყვებოდი. ჩემი ეზოს გასწვრივ მაჭარაანთ თამრიკა შემომხვ-და.

— გია, რატომ აცდენ გაკვეთილებს?

— არა მცალია, — ვუპასუხე მე.

— რას აკეთებ?

— ვერა მხედავ? ძეძვს ვეზიდები.

— მერე სკოლა?

— აღარ ვივლი.

— რატომ?

— ოჯახს უჭირს და იმიტომ.

— ნიკო მასწავლებელს ვეტყვი, დაგა-ბრუნებს.

— შენ ვინა გკითხავს?! — ავყვირდი და თამრიაზე გაჯავრებულმა სახედარს სახრე გადავაწან.

გოგონა უსიტყვოდ გამეცალა.

ეზოში „შურდულას“ უღელი და უნაგირი მოვხადე, მწვანეზე გავაგდე. ძეძვის თალმები ლობესთან მივყარე, საზიდარი თუთის ქვეშ მივაგორე, მარანში ქერის პურს ყუა ავატე-ხე, გალას ხახვი ჩამოვგლიჯე და კიბის წინ ჯირკვზე ჩამოვჯექი.

ხრიხალში ურემი შემოვიდა. — ჰოოო... — დაიძახა შაქრიამ და ხარები მარანთან გააჩე-რა. მეწისქვილე ლუკმა-სიკოც შემოჰყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალის დასანახავად მეჯავრებოდა ლუკმა, მე კი არა, მთელ სოფელს სძულდა. გულქვა, გაუტანელი და თაღლითი ტანადაც ერთი ციდა იყო, ფეხები განზე დაჰქონდა, თვალები აქეთ-იქით გაურბოდა, ზურგზე მომცრო კუზი ედგა. ომი რომ დაიწყო, წისქვილი ჩააბარეს. მოფქვავს თვალდათვალ ატყუებდა და მერე ურცხვად იკვეხნიდა კიდეც.

— გაიქე, ბალღო, მეზობლებს დაუძახე, დადებაში დაგვეხმარონ, — მითხრა ლუკმამ.

— რის დადებაში, სიკო ძია? — ვკითხე მე.

— საწნახელის.

— მერე და ჩვენი საწნახელი შენ ვინ მოგცა?

— დედაშენმა მომყიდა.

— დედაჩემმა უარი გითხრა! — მაგრად დავუდექი მე.

— სიკო, რას ამბობს ე ბალღი. — შეცბა შაქრია, — მაშ ნინო თანახმა არ არის?

მეურმემ ხარები მოაბრუნა და ურემი ხრიხალში გაიტანა. ლუკმა ხელგაშლილი გადაეღობა.

— მოიცა, კაცო, სად მიხვალ, სახლში ამიტა და ერთ ფუთს მოგცემ, მეტიღა გინდა?

— ღმერთმა შენც შეგარცხვინოს და შენი ერთი ფუთიცა, ეგრე მცოდნოდა, აქ წამოგყვებოდი?! — გვერდზე გადააწიტა შაქრიამ.

— მაიცა თუ არ განანო შენა, — დაემუქრა ლუკმა მეურმეს, ავი მზერა გააყოლა და მერე ისევ მე მომიბრუნდა.

— ბიჭო, ხუთ ფუთს გაძლევ, განა ერთსა, მა მეტიღა გინდა?

— მამაჩემი მევენახე კაცია, ჩვენ საწნახელი გაგვეყიდება? — ვიუარე ისევ.

— რა თავში იხლი საწნახელს, შიმშილით კუჭი გიხმებათ. — არ მეშვებოდა სიკო.

— კუჭი მიხმება თუ მუცელი, შენ ვინა გკითხავს, როდის მოგადექ სამათხოვროდ? — არ დავუთმე ლუკმას.

— მაშ არ იძლევი?

— არა.

— არაა?! — გაიფხორა სიკო და ისეთი სილა გამაწნა, თვალებიდან ნაპერწკლები გადმომცვივდა.

ბრიგადირი, მაჭარაანთ გიორგი თურმე შორიდან ყურს გვიგდებდა, ღობეს გადმოევლო, სიკოს ეცა და ხელუკუღმა გასცხო ყვრიმალში.

— ლუკმავ! ძალადობ კიდეცა... დამაცადე... ვეტყვი თავმჯდომარეს და ვნახოთ, როგორღა იბოგინებ წისქვილში!...

სიკო ორღობეში გარბოდა.

გიორგიმ მკლავზე ხელი ჩამავლო.

— ბიჭო, აბა ერთი თვალებში შემომხედე... ეგ რა გიფიქრია — სკოლიდან უნდა გამოვიდეო?

მე თავი ჩავღუნე.

— ეგ მეორედ აღარ თქვა, თორემ... ბიჭო, შენ რა ოჯახის მარჩენალი ხარ, მიწას არ ასცილებიხარ ჯერ. იცოდე, გამგეობამ დამავალა, წითელარმიელების ოჯახებს შეშა მივუტანო, არც სხვა მხრივ მოგაკლებთ დახმარებას. ხვალვე მოუსვი სკოლისკენ, თორემ მე ვიცი შენი...

გიორგიმ სახეზე ხელი მომითათუნა და კანტორისაკენ გაემართა, მე კი ვიდექი ერთ ადგილას, გავყურებდი გზას და თვალებში ცრემლები მერეოდა...

— მალე დაბრუნდი მამა, მალე! — ვიმეორებდი გულში.

მხატვარი ლადო ტატიშვილი

ფასი 20 კაპ. ინდექსი 76055

671/64



შეავსეთ ეს უჯრედები ყვავილების სახელებით ისე, რომ სვეტში მიიღოთ „ცხრა მაისი“.

შარადა

ზოთა ამირანაშვილი

შრომას კიდევ რა ჰქვია,
გაიხსენე, ყმაწვილო,
ოღონდ ბოლო ხმოვანი
უნდა ჩამოაცილო.
გაზაფხულის მესამე
თვის სახელი რაც არის,
პირველ სიტყვას ჩაურთე
მისი წინა მარცვალი.
ბოლოს „უზარმაზარის“
შესატყვისი გჭირდება,
ორი მსგავსი ხმოვნიდან
ერთი ჩამოსცილდება
და შარადის პასუხიც
მყისვე გამობრწყინდება.

ლილა

საქართველოს ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოდის 1927 წლიდან.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა.

მთავარი რედაქტორი
ენვერ ნიჟარაძე

სარედაქციო კოლეგია: ედუარდ ამბოკაძე, ილია ანთელავა, გერი დავითაშვილი, სოლომონ დემურხანაშვილი, ლეილა ერაძე, მანანა კობახიძე, გელა ლოსაბერიძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯურხა ნადირაძე, გიორგი როინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თენგიზ ჩალაური (პ/მგ. მდივანი), გივი ძნელაძე, გივი ჰიჰინაძე, მანანა ხაჩიძე.

ტექნიკური რედაქტორი
ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-15; პ/მგ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფილებების: 93-98-19; 93-98-17.

გადაეცა ასაწყობად 08. 02. 85 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 04. 85 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 168.000, შეკვეთა 382.

ყდაზე ნახატი თამაზ ხუციშვილისა

«Дила» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.
Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.
Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).
Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.
Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 382.